პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 41
(6352)

1979 წ.
28 თებერვალი
ოთხშაბათი
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ოქროს მედალი მსოფლიო მიღწევით

•

ქეთევან ლოსაბერიძის ახალი დიდი წარმატება

ჟდანოვში დამთავრდა სსრ კავშირის მშვილდოსანთა ზამთრის პირველობა დახურულ შენობაში. ასპარეზობაში მონაწილე ქალებმა ორჯერ გააუმჯობესეს მსოფლიოს მიღწევა: სსრ კავშირის თასის მფლობელმა, თბილისის უნივერსიტეტის ზოგადი მათემატიკის კათედრის ლაბორანტმა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა **ქ. ლოსაბერიძემ** 18 მეტრიდან 60 ისრის გასროლით 580 ქულა მოაგროვა. **ეს შედეგი 7 ქულით აღემატება ამერიკელი ლ. რაიანის მსოფლიოს რეკორდს.**

25 მეტრიდან შეჯიბრებაში მსოფლიოს რეკორდსმენი გახდა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ირკუტსკელი ლ. შიკოტა — 578 ქულა. **ეს მაჩვენებელი 15 ქულით სჯობს დასავლეთ გერმანიის მშვილდოსნის მ. იარშინსკის მსოფლიოს მიღწევას.**

საბოლოოდ ოლიმპიურ ვარჯიშში (მ-2) საკავშირო მიღწევით პირველობა მოიგო ქეთევან ლოსაბერიძემ, რომელმაც 288 ისრის ტყორცნით 2625 ქულა მოაგროვა. მას ოქროს მედალი გადაეცა. ვერცხლი მიიღო ნ. ბუტუზოვამ (ტაშკენტი) — 2612, ბრინჯაო — შიკოტამ — 2572.

ვაჟთა შორის პირველობა ხვდა **ვ. ეშეევს** (ჩიტა) — 2583 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ **ი. ვილკოვი** (ბირსკი) — 2574 და **ი. მაგაჩიოვი** (ბაქო) — 2554.

ქეთევანმა კიდევ სამი საკავშირო მიღწევა გააუმჯობესა, როცა მ-1 ვარჯიში სრულდებოდა. 30 მეტრიდან მან 348 ქულა მოაგროვა, 50 მეტრზე — 332, მ-1 ვარჯიშის ჯამში კი 1320 ქულას მოუყარა თავი.

შიკოტა ქვეყნის რეკორდსმენი გახდა 60 მეტრზე (334 ქულა).

ვაჟებში 2 საკავშირო მიღწევა გააუმჯობესა ეშეევმა: ჯერ 30 მეტრიდან შეჯიბრებაში (354 ქულა), ხოლო შემდეგ მ-1 ვარჯიშის ჯამში — 1302.

ქვეყნის რეკორდსმენები გახდნენ, აგრეთვე, ი. ვილკოვი (90 მეტრიდან — 311) და ბაქოელი ა. ხარაზოვი (50 მეტრიდან — 327).

სპარტაკიადის ალამი აღიმართა

ვარშავა, 26 თებერვალი. პოლონეთის განთქმული ქალაქი-კურორტი ზაკოპანე უკვე მესამედ ღებულობს მეგობრული არმიების ზამთრის სპარტაკიადის მონაწილეებს. გასულ კვირას საზეიმო ვითარებაში აღიმართა ახლანდელი, რიგით მეშვიდე სპარტაკიადის ალამი. ძმური ქვეყნების დაახლოებით 300 მებრძოლი-სპორტსმენი გაითამაშებს 14 კომპლექსს სპორტის 6 სახეობაში.

ეს ტურნირი მუდამ იპყრობს სპორტის მოყვარულთა ყურადღებას. ჭეშმარიტად უშეღავათო დაძაბულობით მიმდინარეობს მეგობარ-მეტოქეთა ბრძოლა და ბევრი სპორტსმენი სწორედ არმიულ სპარტაკიადაზე მოპოვებული გამარჯვებით იწყებს თავის გზას ოლიმპიური მედლებისკენ.

რა თქმა უნდა, გამონაკლისს არც ახლანდელი სპარტაკიადა წარმოადგენს, ვინაიდან მასში მონაწილეობს სახელოვან სპორტსმენთა მთელი „თანავარსკვლავედი". ვინ არ იცნობს ოლიმპიურ ჩემპიონებს, მოთხილამურეებს ს. საველიევსა და ნ. ბაჟუკოვს (სსრ კავშირი), მსოფლიოს ჩემპიონებს ბიატლონში ფ. ულრიხსა და კ. ზიბერტს (გდრ), მსოფლიოს ჩემპიონებს თხილამურებში ი. ლუშჩეკსა და ა. ბახლედის (პოლონეთი), ცსკა-ს ჰოკეისტებს, რომლებიც სსრ კავშირის ღირსებას იცავენ და სხვ.

მოძმე არმიების დელეგაციებმა სპარტაკიადის გახსნის დღეს გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა ჯარისკაცების ძეგლი გამარჯვების მოედანზე, ზაკოპანეში.

ჭადრაკი

კარპოვმა ყაიმით დაიწყო

მიუნხენში (გფრ) სტარტი აიღო დიდმა საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მონაწილეობს მსოფლიოს ჩემპიონი ა. კარპოვი (სსრ კავშირი).

ტურნირში 16 მონაწილეა, მათ შორის ცნობილი დიდოსტატები ი. ბალაშოვი, ბ. სპასკი (ორივე — სსრ კავშირი), უ. ანდერსონი (შვეცია), მ. სპინი (ინგლისი), რ. ჰიუბნერი, ვ. უნციკერი, პ. პფლეგერი (სამივე — გფრ), კ. რობაჩი (ავსტრია), ა. ადორიანი (უნგრეთი) და სხვები.

შეჯიბრებაში მონაწილეობს აგრეთვე ფიდე-ს ახალი პრეზიდენტი, დიდოსტატი ფ. ოლაფსონი (ისლანდია).

I ტურში კარპოვი დაუზავდა დიდოსტატ გ. სიგურიონსონს (ისლანდია). ბალაშოვმა მოუგო ადორიანს, სპასკიმ — პ. ლაუს (გფრ).

II ტურში კარპოვი — შეხვდა თავის სეკუნდანტს ბაგიოში მსოფლიოს პირველობაში ბალაშოვს. პარტია დაძაბულად მიმდინარეობდა და მწვავე პოზიციაში გადაიდო.

სპასკიმ მეორედ გაიმარჯვა, ამჯერად სძლია სიგურიონსონსა და ერთპიროვნული ლიდერიც გახდა.

ყაიმით დამთავრდა შეხვედრები ადორიან — რობაჩი, ანდერსონ — ჰიუბნერი.

საიუბილეო თარიღებს მიეძღვნა

რუსთავის მიდამოებში, იალღუჯის მთის ფერდობებზე გაიმართა საქართველოს მოტოკროსმენთა ტრადიციული შეჯიბრება, რომელიც საბჭოთა არმიისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საიუბილეო თარიღებს მიეძღვნა. ფაქტიურად ეს გახლდათ ამ სახეობაში წლევანდელი სეზონის პირველი ტურნირი.

სარბიელზე გამოვიდნენ თბილისის (2), ქუთაისის, სოხუმის (2), რუსთავის, ახალციხის, სამტრედიის, ბოლნისისა და სტუმრად ჩამოსული აზერბაიჯანის (2) გუნდები. სულ 122 მონაწილემ მოიყარა თავი, რომელთა შორის 6 ქალი იყო.

თოვლიან ტრასაზე იუნიორებს თითო ცდაზე 20, ხოლო მოზრდილებს 30 წუთი უნდა ევლოთ, ამ დროს გასვლის შემდეგ კი ლიდერებს 2-2 წრის შემოვლის უფლება ეძლეოდათ, რაც ჩამორჩენილებს მდგომარეობის გამოსწორების შანსებს აძლევდა.

საინტერესო იყო ეტლიანი მანქანებით რბოლა, რაც აზელილ თოვლსა და ტალახში ერთობ ძნელი გამოდგა. საბოლოოდ ამ სახეობაში მხოლოდ ორმა ეკიპაჟმა (12-დან) დაამთავრა ტრასა. გაიმარჯვეს ი. ტრონიკოვმა და ვ. იურინმა (აზერბაიჯანი.)

სხვა კლასის მანქანებით რბოლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 125 კბ-სმ-ს ძრავიანი მანქანებით. **ქალები.** ს. ველიკანოვა (თბილისი, სპორტკლუბი „ელვა"), მ. ცინცაძე (რუსთავი, ავტოსკოლა), რ. ტრეტიაკოვა (ბაქო); **ჭაბუკები.** ა. ბუგაიოვი, ვ. ხუბულოვი (ორივე — თბილისი, სპორტსკოლა), ე. ფომიშკინი („ელვა"); **ვაჟები.** ა. ფიოდოროვი (თბილისი, ასკ) ა. ბუგაიოვი, ა. სისაური („ელვა").

„250-იანები". **ვაჟები.** ა. ფიოდოროვი, ნ. ტარასოვი (ბაქო), ვ. კუდრიავცევი (თბილისი, ასკ);

„350-ანები". **ვაჟები.** გ. ბრივალკინი (ბაქო), პ. კუტენკო (ახალციხე), რ. კარიბოვი (რუსთავი).

გუნდური. სპორტტექნიკური კლუბი „ელვა" — 242 ქულა, რუსთავის ავტოსკოლა — 206,5, ნოსილინსკის სპორტტექნიკური კლუბი (აზერბაიჯანი) — 205 ქულა.

ო. კიკნაველიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

• • •

სურათებზე: შეჯიბრების მომენტები.

რ. გაბრიჭიძის ფოტოები.

16 მედალი, 3 რეკორდი

ვენაში, „ჰალენშტადიონზე" დამთავრდა ევროპის მძლეოსანთა მორიგი ზამთრის ჩემპიონატი, რომელშიც 24 ქვეყნის 300-მდე ათლეტი მონაწილეობდა. სულ გათამაშდა მედლების 19 კომპლექტი. საბჭოთა მძლეოსნებმა სხვადასხვა ღირსების 16 მედალი (მათ შორის 3 ოქროსი) მოიგეს და 3 საკავშირო მიღწევა გააუმჯობესეს.

ამის შესახებ „ლელო" წინა ნომერში იტყობინებოდა. ახლა დავუმატებთ, რომ საბჭოთა სპორტსმენებიდან საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: 60 მეტრზე რბენაში — ლ. სტოროჟკოვა (მოსკოვი) — 7,22 (საკავშირო მიღწევა), 60 მეტრზე თარჯრბენში — ნ. მორგულინა (კრასნოდარი) — 8,9, ბირთვის კვრაში — ვ. კისელიოვი (კრემენჩუგი) — 20,1 60 მეტრზე თარჯრბენში — ე. პერევერზევი (მოსკოვი) 7,7, 300 მეტრზე რბენაში ა. ფედოტკინი (მინსკი) — 7.45,5 (საკავშირო მიღწევა). ყველამ „ბრინჯაო" მიიღო.

ანდიჟანელმა ზ. ზაიცევამ 1500 მეტრზე II ადგილი მოიგო და საკავშირო მიღწევაც (4.03,9) დაამყარა. ამ დისტანციაზე III ადგილი ერგო ს. გუსკოვას (ტირასპოლი) — 4.07,4.

ჩემპიონატში ყველაზე მეტი (4) ოქროს მედალი მიიღეს გდრ-ის მძლეოსნებმა, ხოლო პოლონელმა სპორტსმენებმა 3 „ოქრო" მოიპოვეს, თანაც 2 ევროპული მიღწევა აჩვენეს: მ. ვორონინმა 60 მეტრი 6,57 წამში გაირბინა, ვ. კოზაკევიჩმა კი ჭოკით 558 სმ დაძლია და ადრინდელ მიღწევას სანტიმეტრი დაუმატა.

აი, სხვა გამარჯვებულნი: **ქალები.** 60 მ. მ. გიორ-ოლსნერი (გდრ) — 7,16, 400 მ. ვ. ელდერი (ინგლისი) — 51,8, 800 მ. ნ. შტერევა (ბულგარეთი) — 2.02,6, 1500 მ. ნ. მარაშესკუ (რუმინეთი) — 4.03,5, ბირთვი. ი. სლუპიანეკი (გდრ) — 21,01. **ვაჟები.** 400 მ. კ. კოლარაჟი (ჩეხოსლოვაკია) — 46,21, 800 მ. ა. პაესი (ესპანეთი) — 1.47,4, 1500 მ. ი. კოგლენი (ირლანდია) — 3.41,8, 3000 მ. მ. რიფელი (შვეიცარია) — 7.44,5, 60 მ. თარჯრბენი ტ. მუნკელტი (გდრ) — 7,59.

ემზადებიან

საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პლენუმი

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა დიდი სარბიელია, რომელშიც თვალნათლივ გამოჩნდება მონაწილე სპორტული დელეგაციების ავ-კარგი, ყველაფერი, რაც კეთდება მათს რესპუბლიკებსა და ქალაქებში სპორტული მოძრაობის, ხალხის ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ. ამიტომ სპარტაკიადისთვის მზადება და მასში წარმატებითი მონაწილეობა საქართველოს სპორტული დელეგაციის ყველა სახეობის წარმომადგენელთაგან დიდ სერიოზულობასა და პასუხისმგებლობის გრძნობას მოითხოვს.

ყოველივე ეს იციან საქართველოს მოჭადრაკეებმა, რომლებმაც VI სპარტაკიადაში ისახელეს თავი (IV ადგილი) და რომელთაგან ახლაც ბევრს მოელიან. რა თქმა უნდა, ყველას გვახარებს ჩვენი დიდოსტატების თ. გიორგაძის, ბ. გურგენიძის, ნონა გაფრინდაშვილის, საერთაშორისო ოსტატ გ. ზაიჩიკის, ოსტატ ნანა იოსელიანის და ოსტატობის კანდიდატ თამილა მესხის ამასწინანდელი წარმატებები. მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას თვითკმაყოფილებას მივეცეთ. სპარტაკიადა გუნდური შეჯიბრებაა და იგი ბრძოლისადმი სხვა მიდგომასა და მონდომებას გულისხმობს. ამიტომ აუცილებელია ამ მიმართებით გუნდის წვრთნა.

სწორედ ამ საკითხებზე იყო გულახდილი და საქმიანი საუბარი საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პლენუმზე, რომელიც ამას წინათ თბილისში, ჭადრაკის სასახლეში გაიმართა. პლენუმს ესწრებოდნენ რესპუბლიკის ნაკრები გუნდის წევრები და მწვრთნელები.

მოხსენება — „სპარტაკიადისთვის საქართველოს ნაკრები გუნდის მზადება" გააკეთა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, საერთაშორისო დიდოსტატმა ე. გუფელდმა. მან ძირითადად ილაპარაკა იმის შესახებ, რაც „ლელოს" მკითხველებს 11 თებერვლის ნომერში მოუთხრო.

დიდოსტატმა პლენუმის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დღემდე გუნდის ძირითად შემადგენლობას ერთად არც ერთი შეხვედრა არ გაუმართავს: ყველა მოჭადრაკეს საპატიო და გასამართლებელი მიზეზი აქვს. ამიტომ მან დასვა საკითხი, რომ მთლიანმა გუნდმა მიიღოს მონაწილეობა მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციის, უკრაინის და ლატვიის კოლექტივების ამხანაგურ ტურნირში, რომელიც თბილისში მოეწყობა 23 მარტიდან.

სიტყვით გამოსულმა დიდოსტატებმა ნ. გაფრინდაშვილმა, ბ. გურგენიძემ, თ. გიორგაძემ, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა, ოსტატმა მ. შიშოვმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა ო. ალხანიშვილმა, საერთაშორისო ოსტატმა ე. უბილავამ, რესპუბლიკის მოჭადრაკეთა გუნდის მწვრთნელმა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მწვრთნელმა დ. ჯანოევმა, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ჭადრაკის განყოფილების გამგემ გ. გაჩეჩილაძემ ილაპარაკეს გუნდის მზადებაში შემჩნეულ ხარვეზებზე, მათი აღმოფხვრის გზებზე. შეიქმნა საერთო აზრი, რომ საჭიროა უფრო ინტენსიური მეცადინეობა და გუნდური შეხვედრები ძლიერ კოლექტივებთან.

სპარტაკიადის წინ გუნდი საწვრთნელ შეკრებას გაივლის აგარაკ იურმალაში (ლატვია), სადაც ტრადიციულად ჩვენი მოჭადრაკეები წვრთნას გადიან.

გამოცხადდა ჩვენი გუნდის ძირითადი შემადგენლობა: ვაჟები — თ. გიორგაძე, ბ. გურგენიძე, ე. გუფელდი, ე. უბილავა, გ. ზაიჩიკი, ზ. სტურუა, ს. ჩეჩელიანი, ზ. აზმაიფარაშვილი, ქალები — მ. ჩიბურდანიძე, ნ. გაფრინდაშვილი (სათადარიგონი ნ. ალექსანდრია, ნ. გურიელი, ნ. იოსელიანი). გამოითქვა აზრი, რომ ყველა წევრმა მონაწილეობა მიიღოს საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ფინალში, რომელიც 3-20 მაისს თბილისში უნდა ჩატარდეს.

პლენუმმა მიიღო დადგენილება.

დასასრულს მოეწყო ფედერაციის პრეზიდიუმის არჩევნები. პრეზიდიუმში შეყვანილია 23 კაცი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი გ. ბედინეიშვილი, მოადგილეებად ა. ფირცხალავა, ი. საყვარელიძე და გ. ნადარეიშვილი. შეიქმნა კომისიები: საკლასიფიკაციო (თავმჯდომარედ არჩეულია მ. შიშოვი), ახალგაზრდებთან მუშაობის (ი. საყვარელიძე), სამსაჯო (თ. გიორგაძე), ქალთა (ლ. წეროძე), აგიტაცია-პროპაგანდის (უ. ქასოშვილი), მწვრთნელთა (ბ. გურგენიძე), კომპოზიციის (გ. ნადარეიშვილი), დისციპლინარული (კ. ციციშვილი).

თ. ნინოშვილი.

სპორტული სეზონის მთავარი გამოცდა — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

უჩვეულო, ელვისებური...

სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა 46-ე ჩემპიონატის შედეგებზე გვესაუბრება საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტთამაშობათა განყოფილების გამგე

გ. მეგრელაძე

თანამედროვე გუნდს აუცილებლად უნდა გააჩნდეს აქტიური, შემტევი დაცვის უნარი. უნდა შეეძლოს თითქმის მთელი თამაშის განმავლობაში მოწინააღმდეგის „პრესინგირება". ამის მიღწევა კარგი ფიზიკური მზადყოფნის გარეშე შეუძლებელია. ამ ელემენტს დღევანდელ საბჭოთა კალათბურთში, შეიძლება ითქვას, რომ მარტო მოსკოვის არმიელები ფლობენ სრულყოფილად. ჩვენს გუნდში ამ მხრივ გაწეული შრომა, რაღა თქმა უნდა, ჯერ ვერ აკმაყოფილებს კალათბურთის გაზრდილ მოთხოვნილებებს. ამ მხრივ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და ვიმედოვნებთ, რომ მწვრთნელთა და მოთამაშეთა ერთობლივ გულმოდგინებას უკეთესი შედეგი მოჰყვება. საქართველოს ნაკრები გუნდი, რომელიც ძირითადად დინამოელებით იქნება დაკომპლექტებული, უკეთ უნდა იყოს ფიზიკურად მომზადებული, რათა ღირსეულად დაიცვას რესპუბლიკის სახელი ხალხთა VII სპარტაკიადაზე.

46-ე ჩემპიონატმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ჩვენი კალათბურთელების „აქილევსის ქუსლად" ისევ და ისევ შორი მანძილიდან ზუსტი ტყორცნა რჩება. ჩვენს გუნდსაც ესაჭიროება ისეთი „სნაიპერები", რომლებსაც თითქმის ავტომატიზმამდე აქვთ აყვანილი ზუსტი სროლა. სწორედ ამ კომპონენტის წყალობით მიაღწია ვილნიუსის „სტატიბამ" მესამე საპრიზო ადგილს, რაც ზოგიერთმა სპეციალისტმა სენსაციადაც კი მიიჩნია. „სტატიბას" ყველა მოთამაშე დაოსტატებულია შორი და საშუალო მანძილიდან სროლებში: ასეთ გუნდთან წარმატების მიღწევა დიდ დაძაბვას მოითხოვს დაცვაში თამაშისას. ამ მხრივ სწორედ რომ კარგ მაგალითად შეიძლება გამოდგეს ვილნიუსელთა და თბილისის დინამოელთა შეხვედრა რიგაში. იმ თამაშში თბილისელ კალათბურთელთაგან მხოლოდ ზურაბ გრძელიძე იყო მოწოდების სიმაღლეზე. მხოლოდ მან შეძლო მწვრთნელის დავალების შესრულება და თითქმის სრულიად გამოთიშა ვილნიუსელთა ლიდერი რ. გირსკისი, სამწუხაროდ, ზურაბს თანაგუნდელებმა ვერაფრით აუბეს მხარი. თბილისელთა დაცვის ულიმღამო თამაშის წყალობით, ლიტველები თითქმის დაუბრკოლებლად ახერხებდნენ ბურთის კალათში ტყორცნას. ამან, რა თქმა უნდა, დიდად გაზარდა ტყორცნის სიზუსტის კოეფიციენტი. თბილისელები ანერვიულდნენ, ვერც თავდასხმას მოაბეს თავი, ბევრს ცოდავდნენ უზუსტო სროლებით, რითაც ერთიორად შეუმსუბუქეს მოწინააღმდეგეს „დერიუგინის პრობლემა". ჩვენი ცენტრალური თავდამსხმელი ლიტველთა ისეთ ალყაში ხვდებოდა ბურთის მიღებისას, რომ იქიდან შეტევაზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო. 30-ქულიანმა მარცხმა „სტატიბასთან" ცუდი გავლენა მოახდინა „დინამოს" საერთო შედეგზე რიგის ტურში. ამ თამაშმა კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რაოდენ საჭიროა კალათბურთში მთელი ძალის სრული და დროული გაღება.

საერთოდ რიგის ტური „დინამოსთვის" მეტისმეტი უიღბლობითა და მოულოდნელობით იყო აღსავსე. დინამოელებმა მხოლოდ რიგაში ჩასვლისას შეიტყვეს, რომ მოსკოვის „დინამო" პოლონეთში იმყოფებოდა და ოთხი დღით დააგვიანდებოდა, ტურის მეორე დღეს დანიშნული მატჩი თბილისისა და მოსკოვის თანაკლუბელთა შორის მსაჯთა კოლეგიამ 14 იანვრისთვის გადაიტანა. ამან ძირფესვიანად შეცვალა თბილისელ მწვრთნელთა გეგმები. 12 იანვარს თბილისში გამოფრენის მაგიერ გუნდი რიგაში უნდა დარჩენილიყო და გაეგრძელებინა მზადება ლენინგრადის ტურისათვის, რომელიც უკვე 18 იანვარს იწყებოდა. ორი დღისათვის ორი ათას კილომეტრზე გამოფრენას აზრი აღარ ჰქონდა. ჩემპიონატის ხელმძღვანელობამ ასეთივე მდგომარეობაში მყოფი ტალინის „კალევი" „შეიწყალა" და მოსკოველთა მატჩი თვის ბოლოსთვის გადაიტანა და ისიც ტალინში.

სწორედ რიგის ტურში „მოახერხეს" თბილისის დინამოელებმა კაუნასის „ჟალგირისთან" წაგება. მართლაც რომ „მოახერხეს" — სხვას ვერაფერს დაარქმევ ასეთ ფაქტს: მაშინ, როცა დარბაზში მყოფთაგან არავის ეპარებოდა ეჭვი დინამოელთა გამარჯვებაში და ნაადრევად თვლიდნენ, რომ „დინამომ" რიგის ტურის საუკეთესო მატჩი ითამაშა, მოხდა გაუგებარი რამ. თამაშის დამთავრებას 1 წუთი და 12 წამი აკლდა, დინამოელები 9 ქულით იგებდნენ თამაშს. ლ. გულდედავამ, რომელიც სრულიად მარტო დარჩა ფარის ქვეშ, ვერ შეძლო ასპროცენტიანი შესაძლებლობის გამოყენება. ამის შემდეგ თბილისელ მცველთა შეცდომები „ჟალგირისის" მკაცრ, უხეშობის საზღვარს მიახლოვებული პრესინგის წყალობით კატასტროფულად გამრავლდა. წუთსა და თორმეტ წამში გამოცდილმა მცველებმა ვერცერთხელ ვერ მოახერხეს მოწინააღმდეგის ნახევარზე ბურთის გადატანა და გუნდმა ათი უპასუხო ქულა მიიღო. ამ სამარცხვინო დამარცხების ახსნას ალბათ დიდხანს ვერ შეძლებენ ის მოთამაშეები, რომლებიც იმ საბედისწერო წუთისა და 12 წამის მანძილზე მოედანზე იმყოფებოდნენ.

ამავე ტურში ლენინგრადის „სპარტაკთან" „დინამოს" მიერ ძალზედ კარგად დაწყებულ თამაშში მოულოდნელი ტრავმა მიიღო კალათბურთელმა რ. გარუჩავამ. ეს ისე მოხდა, რომ მას არავინ შეტაკებია. ამ მოულოდნელობამ ერთხანს დააბნია თბილისელები, რითაც კარგად ისარგებლა მოწინააღმდეგემ და მეტად მნიშვნელოვანი ქულა აართვა დინამოელებს.

უთუოდ მართებულად აღნიშნა ლენინგრადის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" შეხვედრის შემდეგ ადგილობრივი ტელევიზიით გამოსულმა სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. კონდრაშინმა ის ფაქტი, რომ „დინამომ" საგრძნობლად უმატა კომბინაციურ თამაშს, რომ თბილისის „დინამოში" გამოჩნდნენ ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშეები, რომლებსაც უახლოეს მომავალში უფრო დიდი ამოცანების გადაჭრა შეეძლებათ. მწვრთნელმა განსაკუთრებით შეაქო ნიკოლოზ დერიუგინის თამაში, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დღეისათვის უმაღლესი ლიგის გუნდებში მოთამაშე ცენტრალურ თავდამსხმელთაგან მხოლოდ დერიუგინს შეუძლია წარმატებით ებრძოლოს კიეველთა გიგანტებს ტკაჩენკოსა და ბელოსტენნის.

ნიკოლოზ დერიუგინზე ბევრს წერენ და ლაპარაკობენ. მას ოლიმპიური ნაკრების იმედად მიიჩნევენ. დერიუგინი მართლაც რომ ნიჭიერი კალათბურთელია. მისი ყველაზე დიდი ღირსება კალათის დალაშქვრის წყურვილია. გამოირჩევა მაღალი შედეგიანობით, რაშიც არც ერთ საბჭოთა ცენტრალურ თავდამსხმელს არ უდებს ტოლს. ნიკოლოზი ფარის უშუალო სიახლოვეს ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. მიუხედავად ამდენი ღირსებისა დერიუგინს ბევრი ნაკლიც აქვს, რომელთა სწრაფად გამოსწორება დიდად შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირის ნაკრების მოწინავეთა შორის ჩადგომაში. ჩვენი აზრით მისი ყველაზე მთავარი ნაკლი დაცვაში სუსტი თამაშია. იგი რაღაცნაირად დუნედ და უხალისოდ თამაშობს უკანა ხაზზე და ჯერ ვერ არის სრულყოფილად ნაზიარები დაცვაში თამაშის ნიუანსებს. სასურველია, რომ ნიკოლოზმა მოუმატოს ნახტომს, მაშინ მისი თამაში ბევრად სრულყოფილი გახდება. მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის ყოველ თამაშში აგროვებს 30-40 ქულას, მას კიდევ არა აქვს მთლიანად გახსნილი თავისი შესაძლებლობები. იგი თუ ისევე კარგად შეუტევს მარცხენა ხელითაც, როგორც ამას მარჯვენათი ახერხებს, შესაძლოა, მისმა საშუალო შედეგიანობამ რეკორდულ ციფრებსაც კი მიაღწიოს. თუმცა, სამართლიანობა იმის აღნიშვნასაც მოითხოვს, რომ ნაკრების მიერ უკანასკნელ ხანებში ჩატარებულ ტურნირებში მას არ ჰქონდა ინტენსიური ვარჯიშის საშუალება, ხოლო თამაში ძალზე ცოტა ხნით უწევდა. ასეა თუ ისე, ნიკოლოზი მომავალში უთუოდ გააუმჯობესებს თამაშს, გაიმრავალფეროვნებს ტექნიკურ და ტაქტიკურ არსენალს და კიდევ უფრო მრისხანე ძალად მოევლინება მეტოქეებს.

ძალზე საინტერესო და თავისებური მოთამაშეა ზურაბ გრძელიძე: იგი გამოირჩევა დიდი შრომისმოყვარეობით, რაშიაც სასურველია, რომ მისმა თანაგუნდელებმა მიბაძონ მას. როგორც იგრძნობა, ის უახლოეს მომავალში ზუსტი სროლის კარგ ოსტატად მოგვევლინება. ზურაბი განსაკუთრებულად ძლიერია მოწინააღმდეგის ინდივიდუალურ მეურვეობაში, არ გაურბის ავტორიტეტების წინააღმდეგ ბრძოლას და უმეტეს შემთხვევებში გამარჯვებული გამოდის. გრძელიძე წელს ნაკრების მწვრთნელებმა უყოყმანოდ დაასახელეს ოლიმპიური ნაკრების კანდიდატად. ზურაბის მთავარ ნაკლად მწვრთნელები იმას მიიჩნევენ, რომ იგი ცუდად ერკვევა კომბინაციურ თამაშში და ხშირად აგვიანებს სწორი გადაწყვეტილების მიღებას. მან უსათუოდ უნდა გაიმდიდროს ტექნიკური არსენალი და განსაკუთრებით დიდი დრო დაუთმოს ბურთის ტარებისა და გადაცემის ტექნიკის დაუფლებას.

უკვე მერამდენე წელია, ეგრეთწოდებულ „პერსპექტიულებში" დააბიჯებს ტანმაღალი კალათბურთელი როლანდ გარუჩავა. იგი დაბადებულია 1959 წელს, მისი სიმაღლეა 206 სმ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ტექნიკით ის არც ერთ ტანმაღალ კალათბურთელს არ უდებს ტოლს. მშვენივრად ატარებს ბურთს ორივე ხელით, ასევე ორთავე ხელით შეუძლია ბურთის კალათში ტყორცნა, აქვს გადაცემის დამაკმაყოფილებელი ტექნიკა, მაგრამ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მისი ფიზიკური მომზადება. უგულოდ ეკიდება ვარჯიშს, რის გამოც თამაშში ხშირად უსუსურად გამოიყურება. მან დიდი მონდომება უნდა გამოავლინოს, რათა ჩვენს გუნდს კიდევ ერთი სრულფასოვანი ტანმაღალი მოთამაშე შეემატოს. სამწუხაროდ, როლანდმა მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და ოპერაციას საჭიროებს.

ვლადიმერ ძიძიგური ნიჭიერი და საინტერესო სპორტსმენია. იგი კაპიტანი იყო საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრებისა და ეს ფაქტი თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს. ვლადიმერს გააჩნია ნამდვილი გამთამაშებლის თვისებები. აინტერესებს კომბინაციური და კოლექტიური თამაში. იგი თავდაჭერილი ყმაწვილია და თანაგუნდელების პატივისცემას იმსახურებს. ვლადიმერის ყველაზე დიდი ნაკლი უხეირო სროლაა. მას დასახვეწი აქვს დრიბლინგიც, სასურველია თუ უფრო ძლიერი გახდება ფიზიკურად. იგი მუყაითი მოვარჯიშეა და ამიტომ მწვრთნელებს სჯერათ, რომ უახლოეს მომავალში იგი ამ ნაკლს გამოასწორებს.

კონსტანტინე ჯორჯიკია შესაშური ფიზიკური მონაცემების მქონე კალათბურთელია. მას შეუძლია აქტიური თამაში დაცვაში, რაშიაც ყველა დაარწმუნა მიმდინარე ჩემპიონატში. იგი კარგად ერთვება პირველ შეტევაშიც, მაგრამ სუსტია ტექნიკურად, აკლია ტაქტიკური აზროვნება და მთელი თავისი ყურადღება სწორედ ამ კომპონენტებზე უნდა გაამახვილოს.

შალვა სინჯარაძე (1960 წ. 198 სმ) ფიზიკურად ძლიერი ახალგაზრდაა. მას აქვს ბუნებრივად განვითარებული მაღალი ნახტომი, არცთუ ურიგოდ ტყორცნის ბურთს კალათში საშუალო და შორი მანძილიდან, მაგრამ ესაა და ეს. იგი მეტისმეტად მოიკოჭლებს ტექნიკაში. ცუდი პასი აქვს და რაც მთავარია, ხშირ შემთხვევაში მოედანზე ძალზე უყურადღებოა. სასურველია, რომ მან მეტი იფიქროს კალათბურთზე და საკუთარ დაოსტატებაზე.

ვ. გლაზოვი სოხუმის უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს. მისი სიმაღლე 212 სანტიმეტრია. ჯერ მასზე, როგორც მოთამაშეზე, ნაადრევად მიგვაჩნია საუბარი. ამ სპორტსმენს მხოლოდ თავდაუზოგავი და მუყაითი შრომის შედეგად შეუძლია მოიპოვოს ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

უკანასკნელი ჩემპიონატის ზოგიერთ შეხვედრაში ცუდად როდი ისპარეზეს საშუალო თაობის წარმომადგენლებმაც. მაგალითად: დასკვნითი ტურის პირველ სამ მატჩში კიევში, კარგად ითამაშა ნოდარ ქორქიამ. ამას სპეციალისტებიც აღნიშნავდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, მან ტრავმა მიიღო და ბოლო თამაშებში აღარ მიუღია მონაწილეობა. უნდა ითქვას, რომ სოსო ჯანაშიას თამაშმა წელს ცუდი შთაბეჭდილება როდი დატოვა, გამოირკვა, რომ თუ ის გულისხმიერად მოეკიდება ვარჯიშს, მას ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია კოლექტივისთვის. იგივეს თქმა შეიძლება ლ. გულდედავაზეც.

რაც შეეხება ვეტერანებს, ჩვენ ვთვლით, რომ მათ წლეულს ჯერ კიდევ არ უთქვამთ თავიანთი სიტყვა. მათგან ყველაზე კარგად გივი ბიჭიაშვილმა ისპარეზა. იგი ლენინგრადში კარგ სპორტულ ფორმაში იყო და საუკეთესო მოთამაშის სპეციალურად დაწესებული პრიზიც მოიპოვა. სამწუხაროდ, დასკვნითი ტურის პირველივე შეხვედრაში მან ხელი იტკინა და გამოეთიშა შეჯიბრებას. შარშანდელი ტრავმის შემდეგ ვერა და ვერ აღიდგინა სპორტული ფორმა იური პულავსკიმ, თავის შესაძლებლობაზე გაცილებით სუსტად ისპარეზა თამაზ ჩიხლაძემაც. მასაც დროდადრო თავს ახსენებდა სეზონის წინ თბილისში ჩატარებულ „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მიღებული ტრავმა. ტრავმირებულ მიხეილ ქორქიას მხოლოდ დასკვნით ტურში მოუწია ასპარეზობა, სამწუხაროა, რომ მისმა ოსტატობამ წლევანდელ სეზონში ვერავითარი სამსახური ვერ გაუწია გუნდს.

მაშ ასე, 46-ე ჩემპიონატის 4 ტურში თბილისის „დინამომ" ჩაატარა 22 შეხვედრა. აქედან 10 მოიგო და თორმეტში იწვნია დამარცხების სიმწარე.

ბოლოს, ორიოდე სიტყვა თბილისის „დინამოს" მწვრთნელთა შესახებ. ისინი უკვე კარგა ხანია რაც გუნდთან მუშაობენ. წლევანდელმა ჩემპიონატმა გაათვალსაჩინოვა ის დიდი შრომა, რაც მათ ახალგაზრდებთან გაუწევიათ. ეს ნამდვილად მისასალმებელია და გარკვეულ ოპტიმისტურ განწყობილებასაც იწვევს.

დასასრული იხ. „ლელო" № 40.

დიდი ფეხბურთის სეზონიც დადგა!

დღეს თასის გათამაშებით იწყება საბჭოთა ფეხბურთის ახალი, 1979 წლის საფეხბურთო სეზონი. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ თასის წლევანდელი გათამაშება ახალი სისტემით იწარმოებს. მისი მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან 8 ზონად, თითოეული ზონის ტურნირი ჩატარდება წრიული სისტემით და 8 გამარჯვებული საპატიო პრიზისთვის ბრძოლას გააგრძელებს მეოთხედფინალში.

ერთ-ერთი ასეთი სათასო ზონა შექმნილია თბილისსა და რუსთავში, მასში გაერთიანებული არიან „დინამო" (თბილისი), „ზარია" (ვოროშილოვგრადი), ასკ (დონის როსტოვი), „ტორპედო" (ქუთაისი), „ურალმაში" (სვერდლოვსკი) და „დინამო" (ლენინგრადი).

თბილისის „დინამო" ერთ-ერთია იმ რამდენიმე გუნდს შორის, რომლებსაც მონაწილეობა აქვთ მიღებული სსრ კავშირის თასის უკლებლივ ყველა გათამაშებაში, დაწყებული 1936 წლიდან. ვფიქრობთ, გულშემატკივართათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნოს დინამოელთა შედეგებს თასის ყველა გათამაშებაში.

თბილისის „დინამო" თასის ყველა გათამაშებაში

1936 წელი. თბილისელებს I ტურში მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ბათუმელმა თანაკლუბელებმა. პირველი შეხვედრა ფრედ დამთავრდა (0:0) და მხოლოდ განმეორებით მატჩში შეძლეს თბილისელებმა გამარჯვების მოპოვება — 2:0. შემდეგ ასეთივე ძნელი გამარჯვება იქნა მოპოვებული დამატებით დროში ბაქოს „ტემპთან" — 3:2 და სტალინგრადის „ტრაქტორთან" — 3:1. მეოთხედფინალური მატჩები თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკს" შორის მიმდინარეობდა უკიდურესად დაძაბულ, მწვავე ბრძოლაში. პირველ მატჩში მოსკოველები წინ იყვნენ — 3:1, დინამოელებმა კი გაქვითეს ანგარიში — 3:3. განმეორებით შეხვედრაში მოხდა პირიქით, წინ იყო „დინამო" (3:1) და ახლა უკვე „სპარტაკმა" გაათანაბრა ანგარიში — 3:3. დამატებითმა დრომ გამოავლინა ნახევარფინალის მონაწილე, ეს იყო თბილისის „დინამო" — 6:3. ამ ეტაპზე თბილისელებმა იოლად დაამარცხეს ნოგინსკის „კრასნოე ზნამია" (5:1) და ფინალში შეხვდნენ მოსკოვის „ლოკომოტივს". გადამწყვეტ მატჩში წარმატება მოსკოველებს ხვდათ წილად —2:0.

1937 წელი. თასის მეორე გათამაშებაში თბილისელები ზედიზედ მეორედ გავიდნენ ფინალში. მათ თანმიმდევრულად დაამარცხეს ტაგანროგის „ზენიტი" (9:1), ერევნის „სპარტაკი" (4:1), ბაქოს „ნეფტიანიკი" (3:0), თბილისის „ლოკომოტივი" (4:0), კიევის „დინამო" (2:1), ცდკა (1:0) და ფინალში დამარცხება განიცადეს მოსკოველ თანაკლუბელთაგან — 2:5.

1938 წელი. დინამოელებმა მოუგეს თბილისის „ლოკომოტივს" (4:1), როსტოვის „დინამოს" (4:2), ლენინგრადის „სტალინეცს" (4:2), სტალინოს „სტახანოვეცს" (4:1), მეოთხედფინალში კი წააგეს ლენინგრადის „ელექტრიკთან" (1:2).

1939 წელი. გათამაშების სტარტზე თბილისის „დინამომ" დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო" (5:2), მოსკოვის „პიშჩევიკი" (2:2 და 1:0), ბათუმის „დინამო" (5:3) და ცდკა (1:0). ნახევარფინალში თბილისელები შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკს". გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 1:0. საინტერესოა, რომ ეს მატჩი თბილისელებმა გააპროტესტეს, გადათამაშება მოხდა უკვე ფინალის შემდეგ და სპარტაკელებმა კვლავ გაიმარჯვეს — 3:2.

1944 წელი. სსრ კავშირის თასის გათამაშება 4 წლის შესვენების შემდეგ კვლავ განახლდა. თბილისის „დინამომ" მეთექვსმეტედფინალში თამაშის ჩაუტარებლად ჩაიწერა მოგება ერევნელ თანაკლუბელებთან, მაგრამ ბაქოში წააგო ადგილობრივ „დინამოსთან" — 1:2.

1945 წელი. ოდესის „პიშჩევიკთან" (2:0) და მოსკოვის „სპარტაკთან" (2:1) მოპოვებული გამარჯვებების შემდეგ თბილისელებმა მეოთხედფინალში წააგეს ცდკა-სთან — 0:1.

1946 წელი. თბილისელთა პირველი მატჩი მინსკის „დინამოსთან" დამთავრდა ფრედ (0:0), ხოლო განმეორებითი შეხვედრა მოგებული იქნა ანგარიშით 2:0. შემდეგ თბილისელებმა ერთნაირი ანგარიშით — 2:1 დაამარცხეს მოსკოვის „დინამო" და „ტორპედო". ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკი" და თბილისის „დინამო". დამატებით დროში გაიმარჯვეს სპარტაკელებმა — 3:2.

1947 წელი. პირველი გამარჯვების შემდეგ მინსკის „დინამოსთან" (1:0) თბილისის „დინამომ" მეოთხედფინალში დამატებით დროში წააგო მოსკოვის „ტორპედოსთან" — 1:2.

1948 წელი. თბილისელებმა მიაღწიეს ნახევარფინალს (მოსკოვის „ლოკომოტივთან" — 1:0, ვვს-თან — 2:1) და ნახევარფინალში წააგეს მოსკოვის „სპარტაკთან" — 0:1.

1949 წელი. თბილისელებმა დამატებით დროში მოუგეს ზაპოროჟიეს „ლოკომოტივს" — 3:1, შემდეგ ქ. კოვროვის გუნდს — 4:0 და მეოთხედფინალში წააგეს მოსკოვის „დინამოსთან" — 1:3.

1950 წელი. დინამოელებს პირველივე მატჩში დამატებითი დრო დასჭირდათ რიგის არმიელებთან — 2:1, შემდეგ დამარცხებული იქნა მოსკოვის „ტორპედო" — 3:1, მაგრამ მერვედფინალში მატჩი ვვს-თან წაგებული იქნა ანგარიშით — 1:2.

1951 წელი. თბილისელებმა სარეკორდო ანგარიშით დაამარცხეს პეტროზავოდსკის „ლოკომოტივი" — 11:0, მაგრამ შემდეგ ასევე დიდი ანგარიშით წააგეს ვვს-თან — 1:5.

1952 წელი. თბილისის „დინამომ" პირველივე მატჩში განიცადა მარცხი ქ. კალინინის გუნდთან — 1:2.

1953 წელი. პირველი შეხვედრა კიევის „დინამოსთან" მოგებული იქნა იოლად — 4:0, მაგრამ შემდგომი მატჩი მოსკოვის „დინამოსთან" დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 1:0.

1954 წელი. მეთექვსმეტედფინალში თბილისის „დინამოს" მეტოქე იყო დონეცკის „შახტიორი". პირველი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2, მეორე მოიგეს დონეცკელებმა — 1:0.

1955 წელი. თბილისის „დინამომ" გათამაშება დაიწყო კიევის „დინამოსთან" მოპოვებული გამარჯვებით — 3:2 (დამატებით დროში), მაგრამ შემდეგ გუნდმა მარცხი იწვნია ცდსა-სგან — 0:1.

1957 წელი. ერთი წლის შესვენების შემდეგ თასის გათამაშება კვლავ განახლდა. კადიევკის „შახტიორთან" (5:0) და მოსკოვის „დინამოსთან" (2:1) მოპოვებულ გამარჯვებათა შემდეგ თბილისის „დინამომ" მარცხი იწვნია მოსკოვის — „ტორპედოსგან" — 1:6.

1958 წელი. პირველივე მატჩი წაგებული იქნა ლენინგრადის „ადმირალტეეცთან" — 1:3.

1959-60 წლები. თბილისელებმა მოუგეს კიევის „დინამოს" (4:3), მოსკოვის „სპარტაკს" (2:1), შემდეგ — ლენინაკანის „შირაკს" (5:1) და დონეცკის „შახტიორს" (2:1, დამატებით დროში). უაღრესად დაძაბული იყო ფინალური შეხვედრა მოსკოვის „ტორპედოსთან", რომელიც დამატებით დროში მოიგეს ტორპედოელებმა — 4:3.

1961 წელი. ვოლგოგრადის „ტრაქტორთან" (3:0) და ხარკოვის „ავანგარდთან" (2:1) მოპოვებულ გამარჯვებათა შემდეგ თბილისის „დინამომ" მერვედფინალში წააგო დონეცკის „შახტიორთან" — 2:3.

1962 წელი. თბილისის „დინამომ" გამარჯვება მოიპოვა ქუთაისის „ტორპედოსთან" — 4:3, მაგრამ შემდეგ წააგო მოსკოვის „ტორპედოსთან" — 0:2.

1963 წელი. თბილისელებმა პირველივე მატჩი წააგეს კალინინში, ადგილობრივ „ვოლგასთან" — 2:4 (დამატებით დროში).

1964 წელი. კრასნოიარსკის „ლოკომოტივთან" მოგებული თამაშის შემდეგ (1:0) თბილისელებმა დამატებით დროში დაუთმეს მოსკოველ თანაკლუბელებს (1:2).

1965 წელი. დინამოელებმა წარმატებით განვლეს 3 ეტაპი: სოხუმის „დინამოსთან" — 1:0, ცსკა-სთან — 4:2, ორეხოვო-ზუევოს „ზნამია ტრუდასთან" — 2:1, მაგრამ ნახევარფინალში წააგეს მინსკის „დინამოსთან" — 1:2.

1966 წელი. პირველივე მატჩი წაგებული იქნა დონეცკის „შახტიორთან" — 1:3 (დამატებით დროში).

1967 წელი. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვთან" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ (1:0) თბილისელებმა წააგეს ბაქოს „ნეფტიანიკთან" — 1:0.

1968 წელი. თბილისელებმა დაამარცხეს როსტოვის არმიელთა გუნდი — 3:0, მაგრამ მერვედფინალში წააგეს სვერდლოვსკის „ურალმაშთან" — 0:1.

1969 წელი. თბილისელები თასის გათამაშებას გამოეთიშნენ პირველივე ეტაპზე: წაგება ოდესის „ჩერნომორეცთან" — 2:3.

1970 წელი. თბილისის „დინამო" მეხუთედ გავიდა თასის ფინალში, სადაც დაძაბულ ბრძოლაში წააგო მოსკოვის „დინამოსთან" — 1:2. მანამდე თბილისელებმა დაამარცხეს თბილისის „ლოკომოტივი" (1:0 და 4:2), შემდეგ ქუთაისის „ტორპედო" (0:0 და 1:1, ბურთი გატანილი იქნა მეტოქის მინდორზე), ოდესის „ჩერნომორეცი" — 2:1 და ბაქოს „ნეფთჩი"— 1:0.

1971 წელი. თბილისელებმა ჯერ დაამარცხეს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი" (0:0 და 2:1) შემდეგ — ერევნის „არარატი" (0:0 და 2:1) და მეოთხედფინალში წააგეს მოსკოვის ტორპედოელებთან — 0:2.

1972 წელი. პირველად დამარცხებული იქნა ხარკოვის „მეტალისტი" (0:2 და 4:1), ყარაგანდის „შახტიორი" (3:0 და 0:0), შემდეგ თბილისელებმა ლვოვში ფრედ ითამაშეს ადგილობრივ „კარპატისთან" (0:0), შინაც ფრედ დაამთავრეს მასთან მატჩი (1:1) და ამ გოლმა უპირატესობა „კარპატის" მოუტანა.

1973 წელი. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" დამარცხების შემდეგ (2:0 და 0:0), თბილისელებმა მერვედფინალში დაუთმეს მოსკოვის „სპარტაკს" (1:2 და 1:1).

1974 წელი. თბილისელებმა მოუგეს დუშანბეს „პამირს" (1:1 და 3:1), ოდესის „ჩერნომორეცს" (2:0, 2:1), შემდეგ მოსკოვის „დინამოსთან" (2:0 და 1:3) უკეთ გამოიყენეს დამატებითი პენალტები, ნახევარფინალში კი წააგეს კიევის „დინამოსთან" (0:1, 0:0).

1975 წელი. თბილისელებმა მოუგეს ზაპოროჟიეს „მეტალურგს" — 2:1, პენალტებით დაამარცხეს ლენინგრადის „ზენიტი" — 4:2 (მატჩის შედეგია 0:0), შემდეგ დამატებით დროში სძლიეს კიევის „დინამოს" — 2:1 და ერევანში წააგეს ნახევარფინალური შეხვედრა „არარატთან" ანგარიშით 1:3.

1976 წელი. თბილისის „დინამო" მეექვსედ გავიდა ფინალში და, როგორც იქნა, წარმატებით დააგვირგვინა თავისი ხანგრძლივი სათასო ეპოპეა. პირველი შეხვედრა ზაპოროჟიეს „მეტალურგთან" დამთავრდა. ფრედ — 1:1 და დინამოელებმა გაიმარჯვეს დამატებითი პენალტებით — 5:4. შემდეგ თბილისელებმა მოუგეს ლენინგრადის „ზენიტს" — 3:0, ლვოვის „კარპატის" — 2:1, დონეცკის „შახტიორს" 2:0 და ფინალში ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს ერევნის „არარატთან" — 3:0.

1977 წელი. პირველივე მატჩი ტაშკენტში წაგებული იქნა ადგილობრივ „ფახთაქორთან" — 0:1.

1978 წელი. დინამოელებმა, მეთექვსმეტედფინალში მოუგეს ნიკოპოლის „კოლოსს" (1:1, 2:1), მერვედფინალში — ტაშკენტის „ფახთაქორს" (1:0, 1:0), ხოლო მეოთხედფინალში დამარცხდნენ მოსკოვის „ლოკომოტივთან" (0:1, 2:2).

თბილისის „დინამოს" სულ სსრ კავშირის თასზე ჩატარებული აქვს 129 მატჩი, აქედან მან მოიგო 74, ფრედ დაამთავრა 18, წააგო 37, ბურთების შეფარდებით 250:159.

ახლანდელი ზონის მონაწილეთაგან თბილისელებს სხვადასხვა დროს ორჯერ ჰყავთ დამარცხებული როსტოველი ფეხბურთელები, ერთხელ — ქუთაისის ტორპედოელები (2 შეხვედრა დამთავრდა ფრედ) და ერთი მატჩი წაგებული აქვთ სვერდლოვსკის „ურალმაშთან".

სტატისტიკა, სტატისტიკა...

- თბილისის „დინამოდან" სსრ კავშირის თასზე ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარა ბ. პაიჭაძემ — 40. მანვე გაიტანა ყველაზე მეტი ბურთი — 24.
- „დინამოს" ახლანდელი შემადგენლობიდან თასის მატჩებში 11 ბურთი აქვს გატანილი დ. ყიფიანს, 5 — ვ. ქორიძეს, 4 — მ. მაჩაიძეს, 3-3 — ა. ჩივაძეს და ვ. გუცაევს, 2 — რ. ჩელებაძეს, თითო — შ. ხინჩაგაშვილს, რ. შენგელიას და ფ. კანთელაძეს.
- ქუთაისის ტორპედოელებმა მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის 16 გათამაშებაში და ჩაატარეს 24 მატჩი. 4 შეხვედრა მათ მოიგეს, 2 ფრედ დაამთავრეს და 18 წააგეს ბურთების საერთო შეფარდებით 19:37.
- ქუთაისის „ტორპედოს" საუკეთესო მაჩვენებელია 1970 წლის თასის გათამაშების მერვედფინალში გასვლა.

ი. კაციტაძე.

გულშემატკივრებს საფეხბურთო სეზონის წინ

კარგი ტრადიცია დამკვიდრდა უკანასკნელ წლებში — ახალი სპორტული სეზონის წინ ფეხბურთის მოყვარულთათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა მასობრივი ტირაჟით უშვებს ტაბელ-კალენდარს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა გამოსახულებით.

წელს გულშემატკივრებმა მესამედ მიიღეს ასეთი კალენდარი, რომელიც გუშინ გამოვიდა გაყიდვაში „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში. ამჟამად იგი ოთხი ვარიანტითაა გამოცემული 200 ათასი ტირაჟის რაოდენობით. ფოტოსურათების ავტორებია **ა. კოტორაშვილი** და **ვ. გენგიური**, მხატვარი — **ვ. რურუა.**

ევროპის ჩემპიონატი

ვალეტა. მოულოდნელი შედეგით დამთავრდა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ფეხბურთში (VII ჯგუფი) მალტისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდებს შორის: მალტელებმა ფრეს მიაღწიეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონებთან შეხვედრაში — 0:0.

მასპინძლებს დასაწყისშივე მიეცათ ანგარიშის გახსნის 2 საუკეთესო შესაძლებლობა, მაგრამ გერმანელები იხსნა მეკარე მაიერმა, რომელიც თავის 92-ე საერთაშორისო მატჩს ატარებდა ნაკრებში. ასევე გამოიჩინა თავი მალტელთა მეკარე სკიბერასმა, რომელმაც აილო დ. მიულერის, ბონჰოფისა და რუმენიგეს ძალზე სახიფათო დარტყმები.

ამ ჯგუფში ახლა წინაა უელსის ნაკრები, რომელმაც 4 ქულა დააგროვა 2 მატჩში. თითო ქულა აქვთ გფრ-სა და მალტას, თურქებმა ჩაატარეს ერთი მატჩი და წააგეს იგი.

პარიზი. ევროპის ჩემპიონატის V ჯგუფში ფრანგებმა დაამარცხეს ლუქსემბურგის ნაკრები — 3:0 (1:0) და 5 ქულით 6 შესაძლებლიდან სათავეში უდგანან გათამაშების ცხრილს. გოლები გაიტანეს პეტიტმა, ემონმა და ლიაროშმა.

ახალგაზრდული დათვალიერება

ტაშკენტი. ტრადიციულმა საერთაშორისო ტურნირმა უზბეკეთის დედაქალაქში თავი მოუყარა ჭაბუკთა 10 ნაკრებ გუნდს. აქ ჯერ ჩატარდება წინასწარი თამაშები 2 ქვეჯგუფში, რის შემდეგ გამოვლინდებიან უძლიერესნი. მათი ფინალური შეხვედრა გაიმართება 6 მარტს.

I **ქვეჯგუფში** უნგრელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს რსფსრ-ს ნაკრები, ხოლო გდრ-ის ნაკრებმა მოუგო უზბეკეთის ჭაბუკებს — 2:1.

II **ქვეჯგუფში** სსრ კავშირის პირველმა ნაკრებმა მოუგო ფინეთის გუნდს — 2:0, ჩეხოსლოვაკიელმა ჭაბუკებმა კი უკრაინის კოლექტივს — 2:1.

ტურნირის პირველ დღეს ისვენებდნენ სსრ კავშირი II და გფრ.

დახურულ დარბაზში

სოფია. „დახურულ დარბაზში ფეხბურთის ხელოვნურ მინდორზე კარგად რომ ითამაშო, საჭიროა შეეჩვიო სარბიელს“, — გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ კორესპონდენტთან საუბარში თქვა ბულგარეთის ფეხბურთელთა გუნდის „აკადემიკის“ (სოფია) მწვრთნელმა ე. მანოლოვმა, რომელმაც თავისი აზრი გამოთქვა, მოსკოვში „ნედელიას“ პრიზზე გამართული საერთაშორისო ტურნირის შესახებ.

„აკადემიკმა“ ამ ტურნირში ერთნაირი ანგარიშით (0:1) წააგო მოსკოვის „ლოკომოტივთან“ და დონეცკის „შახტიორთან“ და დიდი ანგარიშით — მოსკოვის „სპარტაკთან“ — 2:8.

— ცნობილია, რომ თქვენს გუნდს დიდი ხანია არ უთამაშია დახურულ დარბაზში და მოხვდით ჭეშმარიტად უჩვეულო პირობებში, მაგრამ მაინც ყველა მატჩის ნეგატიური ბალანსი და განსაკუთრებით დიდი ანგარიშით (2:8) წაგება რამდენადმე გასაკვირია, — ასე დაიწყო მწვრთნელთან საუბარი გაზეთის კორესპონდენტმა.

— თავის მართლება, რა თქმა უნდა, სწორი არ იქნება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ჩვენ მაინც ვერ მივეჩვიეთ ხელოვნურ ბალახს.

— მოაქვს თუ არა სარგებლობა ასეთ ფეხბურთს?

— უეჭველად. უპირველესად იმიტომ, რომ გამუდმებით სათამაშო მდგომარეობაში ვართ (განრიგის მიხედვით — ოთხი მატჩი კვირაში!). ისეთ მანეჟში, სადაც ჩვენ გამოვდიოდით (სტანდარტული ზომის ფეხბურთის მინდორი), შეიძლება შეინარჩუნო ჩვენი ჩემპიონატის საშემოდგომო ნაწილის საშეჯიბრებო „ინერცია“ (ბულგარეთის პირველობა ტარდება სქემით „გაზაფხული — შემოდგომა“, ხოლო პირველი წრის შემდეგ „აკადემიკი“ XI ადგილზეა — საკდესის შენიშვნა), მაგრამ მაინც ასეთ ტურნირებში მონაწილეობისთვის საჭიროა ის ჩვევები, რაც ზემოთ აღვნიშნე. მხოლოდ მაშინ გახდება ის საშეჯიბრებო და საწვრთნელი ციკლების ნაწილი.


ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, თბილისში საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში გამართულ ასპარეზობაში პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის აღზრდილმა სპორტის ოსტატმა გ. სავჩენკომ 216 სმ სიმაღლე გადალახა და საქართველოს რეკორდი დაამყარა დახურული შენობისთვის. ეს შედეგი სპორტსმენის პირად მიღწევას 1 სანტიმეტრით აღემატება.

სურათზე: გ. სავჩენკოს სარეკორდო ნახტომი.

ო. გელაშვილის ფოტო.

პირველი კონკურსის ლაურეატი

ბერლინი. „მთელი ჩემი მზადება მიმართულია“ იქითკენ, რათა წარმატებით ვიასპარეზო მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებში“, — გაზეთ „დოიჩეს შპორტეხოს“ (გდრ) კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა სპრინტერმა ველომრბოლელმა ლ. ჰესლიხმა, რომელიც იანვრის „რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენად“ აღიარეს. ასეთი კონკურსის ჩატარება პირველად დაიწყო გდრ-ის ამ პოპულარულმა გაზეთმა. ჰესლიხის დასახელებისას მხედველობაში იქნა მიღებული მისი ბრწყინვალე გამოსვლები ბერლინის დახურულ ტრეკზე.

ამ ათლეტური აღნაგობის (სიმაღლე — 185 სმ, წონა — 83 კგ) 20 წლის სპორტსმენმა მოიგო სპრინტერთა საერთაშორისო ტურნირი და გდრ-ის ჩემპიონატი, ამასთან გააუმჯობესა ტრეკის რეკორდი, რომელიც ცნობილ ფრანგ მრბოლელს დ. მორელონს ეკუთვნოდა.

ჰესლიხი, რომელმაც 1977 და 1978 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში სპრინტერთა შორის დაიკავა III და V ადგილები, მოსკოვის ოლიმპიადის წინ მთავარ რეპეტიციად თვლის მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელიც აგვისტოში ამსტერდამში გაიმართება. იქ, მისი აზრით, შეიძლება ბევრი ტაქტიკური ვარიანტების გამოცდა.

კორესპონდენტის შეკითხვას, თუ ვინ არის მისი იდეალი ველოსპორტში, იანვრის ლაურეატმა უპასუხა: „ფრანგი მორელონი. მსოფლიოს ჩემპიონატის რვაჯერ მოგება და ორი ოლიმპიური ოქროს მედლის მოპოვება სპრინტში შეუძლია მხოლოდ უძლიერეს სპორტსმენს. ბევრი ვისწავლე, აგრეთვე, გდრ-ის მრავალგზის და მსოფლიოს 1977 წლის ჩემპიონისგან, თანამემამულე ი. გეშკესგან“.

(საკდესი).

მწვრთნელი გადაარჩინა

ამას წინათ შედგა ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი მადრიდის „რეალსა“ და „ფკ ბარსელონას“ შორის.

მატჩის წონ „ბარსელონას“ უფროსი მწვრთნელი ლ. მულერი საკმაოდ უგუნებოდ იყო განწყობილი. კლუბის ხელმძღვანელობამ მას ულტიმატუმი წაუყენა, რომ აუცილებლად უნდა მოეგო ეს მატჩი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას იმავე საღამოს მოელოდა გუნდის დატოვება.

90000 მაყურებელი წამითაც არ აშორებდა თვალს მინდორზე გაჩაღებულ დაძაბულ ბრძოლას. დასაწყისში უპირატესობა „რეალს“ ჰქონდა, შემდეგ მასპინძლებმა გამოასწორეს მდგომარეობა, სრული ძალით ამოქმედდა მათი ნახევარდაცვის ხაზი ნეესკენსი — მარტინესი — ასენსი.

ბარსელონელებმა შეძლეს ამ უკიდურესად ძნელი მატჩის მოგება, ამასთან ერთადერთი გოლი 53-ე წუთზე გაიტანა ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა, ავსტრიელმა ჰანს კრანკლმა. ამ გოლმა ლ. მულერს შეუნარჩუნა კლუბის უფროსი მწვრთნელის პოსტი.

„ტალინის მახვილი“ — საბჭოთა ნაკრებს

ტალინი, 26 თებერვალი. საბჭოთა დაშნით მოფარიკავეებმა გაიმარჯვეს აქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში — „ტალინის მახვილი“. გადამწყვეტ შეხვედრაში საბჭოთა ნაკრებმა ანგარიშით 8:4 დაამარცხა 1977 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, გფრ-ს გუნდი. სსრ კავშირის ნაკრებში იყვნენ ა. კარაგიანი, ა. აბუშახმეტოვი, ლ. დუნაევი, ვ. ხონდოგო და ა. მოზაევი.

III ადგილი წილად ხვდათ უკრაინის სპორტსმენებს.

ფრანგები ბარში ჩამოდიან

პარიზი. მსოფლიოში ცნობილია ფრანგი სამთომოთხილამურეების — ჟან კლოდ კილის, დები გოიჩელებისა და ა. ორეიეს სახელები, რომლებმაც არაერთი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვეს. საფრანგეთის მოთხილამურე მრბოლელებზე კი მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც 1978 წლის ლაჰტის მსოფლიო ჩემპიონატში ჟან პოლ პიერამ 50-კილომეტრიან მანძილზე ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. მოგვიანებით მან მოიგო ცნობილი შვედური მარათონი „ვაზა-ლოპეტი“.

როცა მიხვდნენ, რომ რბოლებშიც შეიძლება წარმატების მოპოვება, ფრანგებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სათხილამურო სპორტს ამ სახეობას. ნაკრების მწვრთნელად მიიწვიეს ცნობილი შვედი სპეციალისტი ო. ოლსენი, რომელიც წინათ შვეიცარიის ეროვნულ გუნდთან მუშაობდა. პიერას წარმატებების წყალობით ქვეყანაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მრბოლელთა რიცხვი. შვეიცარიისა (სადაც ტარდება სათხილამურო მარათონი „ენგადინი“) და იტალიის (სადაც ტრადიციული გახდა „მარჩალონგის“ რბოლა) მაგალითზე გადაწყვიტეს საფრანგეთში 1979 წლიდან ჩაატარონ შეჯიბრებები ზეგრძელ მანძილებზე. „პროგრესიმი“ უწოდეს ამ ახალ ასპარეზობას, რომელმაც 18 თებერვალს აიღო სტარტი. რბოლის სიგრძე 77 კმ იყო.

საფრანგეთის სათხილამურო სპორტის ფედერაციამ ამ ასპარეზობაში მოიწვია მსოფლიოს უძლიერესი მრბოლელები. „პროგრესიმი“ ბიძგს მისცემს სპორტის ამ სახეობის განვითარებას. დღესაც, სოკოებივით ჩნდებიან სათხილამურო გიმნაზიები, სადაც უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ რბოლებს, ვიდრე სლალომსა და სწრაფდაშვებას. სათხილამურო კონცერნები უფრო ხშირად თავის რეკლამას მრბოლელებს უძღვნიან და არა სამთო მოთხილამურეებს. ველის დისციპლინებით დაინტერესდნენ სპორტული სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიები.

ყველაფერმა ამან ოპტიმისტურად განაწყო ოლსენი. იგი საფრანგეთის სათხილამურო სპორტის ხელმძღვანელებს დაჰპირდა 1980 წლის თამაშებისთვის ძლიერი გუნდის მომზადებას. შვედი მწვრთნელი განსაკუთრებულ იმედებს ამყარებს ძმებ პასკალებზე, ფ. პუაროზე (წარსულში ცნობილი ორჭიდელის მოგვარე), რაიხენბახზე, ტერიზე.

„ჩვენ სტიმულს გვაძლევს ჩვენი ალპიური მეზობლების მიღწევა: 1978 წელს მურაუს იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატზე იტალიელმა ვანცეტიმ მოიგო 15 კმ-ზე რბოლა. ვაინბუხმა (გფრ) — შეჯიბრება ორჭიდში, ხოლო ავსტრიელმა ლენგაუერმა ყველას აჯობა საშუალო ტრამპლინიდან ხტომაში, — განაცხადა ოლსონმა. ჩემს აღსაზრდელებს სურთ გააუმჯობესონ ლაჰტის მაჩვენებლები, სადაც მათი საუკეთესო შედეგი იყო 4X10 კმ-ზე ესტაფეტაში მოპოვებული X ადგილი. და რა თქმა უნდა, უპირველესად თვით პიერას იმედი გვაქვს“.

როგორ ემზადებოდა მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი წინაოლიმპიურ სეზონში? „როგორც არასდროს, — ამბობს მოთხილამურე. — შინ, შამონში (იქ იგი საბაჟოში მსახურობს) მთელ თავისუფალ დროს დავრბოდი მთებსა და ტყეებში, გაძლიერებულად ვვარჯიშობდი ტანვარჯიშში, დიდხანს ვსეირნობდი გორგოლაჭებიანი თხილამურებით“.

— ჩემი ბიჭები ფიზიკურად ასე კარგად არასდროს ყოფილან მომზადებული, — თქვა ოლსონმა. — ვფიქრობ ეს თავის ნაყოფს გამოიღებს სეზონის მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებებში, მოგვიანებით კი ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადაში. (საკდესი).

ფეხბურთი

მ ო კ ლ ე დ

მილანი. იტალიის ნაკრებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი მოუგო მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებს — ჰოლანდიელებს — 3:0.

ჰოლანდიელთა ამ უჩვეულო დამარცხებას ხსნიან იმით, რომ მათ აკლდათ წამყვან ფეხბურთელთა ჯგუფი — ნეესკენსი, კროლი, რენსენბრინკი, გეელსი, ჰაანი, ამას გარდა, გუნდს ერთობ მცირე სათამაშო პრაქტიკა ჰქონდა (ჰოლანდიაში უამინდობის გამო გადადებულია ჩემპიონატის 6 ტური).

ბუდაპეშტი. უნგრეთის ოლიმპიურმა ნაკრებმა ანგარიშით 2:0 (0:0) დაამარცხა მაინის ფრანკფურტის „აინტრაჰტი“ (გფრ).

ბაღდადი. აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ერაყისა და შვეციის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0 (0:0).

იჩქარე, მწვანე ჯეჯილო!

ბაკურიანის თოვლიან ბილიკებზე.

ა. ბარქაიას ფოტო.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 13482